ბაღის დიზაინი

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში /Forth Level Vocational Qualification in Horticulture

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

<u>მიზანი:</u>
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია - ბოტანიკური ბაღი, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური, პარკები, სკვერები, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობები, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობა, სამშენებლო კომპანია, დიზაინერული პროფილის ოფისები.

საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად პირის დასაქმების შესაძლებლობებია - ბაღის დიზაინერი, ბაღის დიზაინის გრაფიკოსი

<u>სწავლის შედეგები:</u>

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- განსაზღვროს ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები;
- მოახდინოს ნიადაგისა და მცენარეების იდენტიფიცირება;
- დაადგინოს დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების სახეები;
- შეასრულოს წინასაპროექტო სამუშაოები;
- დაგეგმოს ბაღის საინჟინრო და მხატვრული ელემენტები;
- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით შექმნას ბაღის პროექტი.

<u>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:</u>

- **პროგრამის მოცულობა:** 85 კრედიტი
- **სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა:** 16 სასწავლო თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1.ბათუმის ბოტანიკური ბაღი